№ 61 სახალხო გაზეთი № 61

სამშაბათი, 20 ივლისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
სურათებიანი დამატება
გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., (სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ამის საათის შემდეგ მეტი ეღირება.
****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****
კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.
„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე.
წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

მწერლის
ილია ლუკას ძე ბახტაძის
(ილ. ხონელის)
ხსოვნის პატივ-საცემად შემდგარი კომიტეტი გარდაცვალებიდან ათის წლის შესრულების გამო სთხოვს მეგობართ, ნაცნობთ და პატივისმცემელთ დაესწრონ პანაშვიდს, რომელიც გარდახდილ იქმნება 20 ივლისს 12 ს. ხონის წმ. გიორგის ეკლესიაში. (4—6.—4)

დღეს 20 ივლისს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში შუა-დღის 12 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი გარდაცვალების 10 წლის თავზე ნიჭიერი მწერლისა და პუბლიცისტის
ილია ლუკას ძის ბახტაძის
(ილ. ხონელის)
სულის მოსახსენებლად. (1—1)

ქართული საზაფხულო თეატრი

დღეს, სამშაბათს, 20 ივლისს გაიმართება
ფრანგული მოჭიდავეთა
ჩემპიონატი
რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ 5 წყვილი ფალავანი ლიუდვიგი ეჭიდავება რეიბერას, ვინროტენი—ვალტერს, პეტერსონი—მერნეკადოს, აპალონი—მატიუშენკოს, იანუს ნაჯი—კალკაუს.
ჭიდაობის დაწყებამდე სინემატოგრაფი უჩვენებს სხვა და სხვა საინტერესო, სამეცნიერო და გასართობ სურათებს. სალხოს დასაწყისი 9 საათზე, ჭიდაობისა 10½ საათზე.
ადგილების ფასი (30 კაპ. 2 მან.) ყველასათვის ხელმისაწვდომია. (1—6.—1)

წიგნის გამომცემელი ამხანაგობა
„ალიონი"-საგან
წიგნებზე ხელის მოწერა ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო გაგრძელდება პირველ სექტემბრამდე.
● წიგნების გამოცემა უზრუნველყოფილია. ●
(3—6.—2) ამხ. „ალიონი"-ს გამგე 3. გადილია.

ტფილისის გუბერნიის თავ.-აზნაურთა
წინამძღოლი
აუწყებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ 20 ივლისს, დილის 11 საათზე დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში დანიშნულია
ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება
განსახილველია მოხსენება ელექტრონის სადგურის გაფართოვების შესახებ. (2—6.—2)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.
გ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ა. პოპოვი—ყელ., ყურ. ცხვირ. და
ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
(წლ.—6.—392)

ტფილისის კერძო სამკურნალო
30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.
ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ... ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ხ. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., ... პარ. 1—2 ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დეკაც. ყოველდღე 12—1 ს.
ფირსდოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
სობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—231)

ნება-რთვითა ყოვლად უსამღვდელოესის მთავარ-ეპისკოპოსის საქართველოს ეგზარხოსის ინოკენტისა, მოვიწვევ მსურველთა, რომელთაც უღვივის გულში სიყვარული სამშობლო ეკკლესიისა და მისი კეთილ-მოწყობისადმი გალობა-კითხვათა. ვსთხოვ მობრძანდნენ ძველი სემინარიის სახლში, სადაც დღეს საღამოთი 7 ნახევარ საათზე
მოხდება კრება
და შევუდგებით გალობის საქმეს.
(1—6.—1) მღვდელი ვასილ კარბელაშვილი.

ექიმი ვასილ წერეთელი
ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—ე.—231)

ექიმი ი. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—171

ექიმი ვ. ლამბაშიძე
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოებით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი ჯაბამჭილისა (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იზმაილოვის ქუჩაზე N 2. გადავიდა იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.-2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი ახალთუმანში
ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი
იღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს. (25—320—22)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე
სარაპ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.
პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
ბოგოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.
ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.
ხუდაბაშევი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.
ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.
ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.
ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველ-დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.
მიკირტუმოვი დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.
ფინდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.
ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წესით. (100—6.—73)

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი მ. ს. არჯევანიძე
ქუთაისში.
იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე საბებიო. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგილოვისა. (25—ვგ.—13)

მოითხოვეთ ყოველგან
ნამდვილი სვირისა და კახური ღვინოები
ჩახიბაიასი
იყიდება ყველა გასტრონომიულ მაღაზიებში და სასტუმრო რესტორანებში.
უმთავრესი საწყობი იმყოფება ვაგზლის ქუჩაზე № 13.
პატივისცემით ჩახიბაია.
(20—გაყ.—17)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20. ტელ. N 79. (0—6.—111)

ექიმი ბორჯომში
ა. ს. ალადაშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის ტერაპევტიულ კლინიკისა იღებს შინაგან ავადმყოფობით სნეულებს დილის 9—12 და საღამოს 5—6 ს., ერისთვის ქუჩა სახლი ზუბალოვისა. 25—6.—25

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი
ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი (50—6.—27)

შპალიერი
8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო
ძმ. ტარნოპოლების
საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.
განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355
ფასები საფაბრიკოა.
ნიმუშები უფასოდ. (50—1046—38)

ზემო ავჭალაში იძლევა აგარაკი
ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.
იკითხეთ „სახ. გაზ." რედაქციაში.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

18—19 ივლისი.

**საზღვარ-გარედ.**

**თეირანი.** ხალხი დაჟინებითა თხოულობს მუშტეხიდის მკვლელთა აღმოჩენას. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი. ამბობენ, რომ დაპატიმრებულთა შორის არიან ისეთები, რომელთაც მკვლელობაში წილი უდევთ. ტაგიზადემ მიატოვა თეირანი. ხალხი თხოულობს თეირანიდან განდევნილ იქნენ ტაგიზადეს რამდენიმე თანამოაზრე, რომლებიც ამ ხანებში მინისტრებად იქნენ დანიშნულნი. ემჩნევა უკმაყოფილება სარდარ-ასადისადმი, რომელიც უკიდურეს ნაციონალისტების გავლენის ქვეშ ჩავარდა.

**სოფია.** გაზეთები კვლავ ეხებიან მაკედონიის საქმეებს და ცხარე პასუხს აძლევენ ოსმალეთის გაზეთებში დაბეჭდილ წერილებზე. „დნევნიკი" სწერს, სტამბოლელი პოლიტიკოსები ვერ გადიტანენ იმ აურზაურს, რომელიც ასტეხა ბოლგარიის პრესამ. „დენ"-ი ჰკიცხავს მაკედონიის რაზმების საქციელს და ამბობს, რომ ბოლგარიის მთავრობამ გადაჭრით და გარკვეულ მოქმედებით უნდა აიძულოს ენერგიულად იმოქმედონ, როდესაც ევროპა დარწმუნდება, რომ ოსმალები ვერა სწორდებიან.

**ბუხარესტი.** მეფემ 10.000 ფრანკი შესწირა ბუხარესტში მაისში მომხდარ წყალდიდობის დროს დაზარალებულთათვის დასარიგებლად.

სახალხო განათლების მინისტრომ კონსტანცაში გახსნა რუმინელ მასწავლებელთა კრება. მონაწილეობს 1700 მასწავლებელი. კრების მიზანია—სასკოლო პოლიტიკის ახალ სახელმძღვანელო აზრების გადაცემა მასწავლებელთათვის.

**ათინა.** ადგილობრივ გაზეთების ცნობით თეოტოკისმა განაცხადა, რომ საჭიროა თავი შევიმაგროთ და კრიტიდან წამოყენებული კანდიდატურა საბერძნეთის საერო კრებაში არ მივიღოთ, რათა სახელმწიფოთა უკმაყოფილება არ გამოვიწვიოთ. თეოტოკისმა ურჩია ვენიზელოსს უარი სთქვი კანდიდატურაზე.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატამ 2 ნოემბრამდე გადასდო სხდომები, 21 ივლისს შეიკრიბება პალატა და მიიღებს საბოლოო რედაქციას მეფის ფიცის ფურცლისას. პალატა ფორმალურად სახეში მიიღებს მეფის თანხმობას ამ ფიცის ფურცლის შესახებ.

ინდოეთის ჯარებს უბრძანეს, როგორც ვწერდით, მზად იყვნენ ტიბეტში გასამგზავრებლად. რეიტერის სააგენტო ამის შესახებ იუწყება, რომ ეს საშუალება სრულიად საკმარისია ტიბეტში ინგლისის სავაჭრო პალატების დასაცავად. ამ ბრძანებას აზრად არა აქვს დღევანდელ პირობებში რეგულიარულად გაილაშქრონ ტიბეტში და ჯარები საზღვარი გადალახონ.

**სენ-სებასტიანი.** კანცლერმა მოახსენა მთავრობას ვატიკანის ნოტა და განაცხადა, რომ მთავრობა ვერ მიიღებს ვატიკანის პირობებს. ამავე აზრით გავცემ პასუხს ვატიკანს, ანტიკლერიკალურ ბრძოლას კვლავ განვაგრძობ და იმედი მაქვს, მეფე ნდობით მომეპყრობა. მთავრობამ გამოიწვია თავის ელჩი, რომელიც ვატიკანის კარს იყო წარგზავნილი. კანცლერი ფიქრობს რომ აუცილებელია ვატიკანთან ყოველნაირ დამოკიდებულების შეწყვეტა.

ლიბერალებმა კანალეხასს ნადიმი გაუმართეს. სუფრაზე კანცლერმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ ლიბერალები მედგრად იბრძვიან და ემყარებიან ჯარის თანაგრძნობასა და პალატაში უმრავლესობაზე. ეს ბრძოლა სარწმუნოების წინააღმდეგ კი არაა მიმართული, არამედ კლერიკალთა წინააღმდეგ.

**მადრიდი.** პრინცმა ხაიმე ბურბონელმა წერილი მისწერა სენატორებსა და დეპუტატებს და პროტესტი განუცხადა პაპთან ბრძოლის გამო. ხაიმემ მოაგონა მათ, შორს არაა ის დრო, როდესაც წესიერების მოტრფიალენი და ისპანიის ჯარი ხელიხელ ჩაკიდებულნი შეეტაკებიან ჭეშმარიტ თავისუფლების მტრებს.

**რიოდეჟანეირო.** საერო კონგრესმა მარშალი ფონსეკა რესპუბლიკის პრეზიდენტად გამოაცხადა.

**სოფია.** ბოლგარიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ განძანათლებელ საზოგადოებათა წევრებმა, რომელნიც დიბრის სანჯაყიდან გადასახლებულ იქმნენ, სახელმწიფოთა წარმომადგენელთ ნოტა ჩააბარეს და გაგზავნეს სტამბოლში მემორანდუმი, სადაც ასწერეს სანჯაყის დღევანდელი მდგომარეობა, ალბანელთა ბრბოების თარეში, ოსმალეთის მთავრობის უყურადღებობა. სახელმწიფოებისადმი მიმართვაში ნათქვამია, ჩაერიეთ საქმეში და გააუმჯობესეთ ქრისტიანთა მდგომარეობაო.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს მადრიდიდან ატყობინებენ, რომ კლერიკალურმა გაზეთებმა გემები დაიქირავეს და დაიკავეთეს მატარებლები 30 ივლისისათვის სონ-სებასტიანში დიდ მანიფესტაციის გასამართავად მეფის წინაშე. შესაძლებელია მანიფესტაცია აკრძალონ.

რადგან ბილბაოში განზრახული მანიფესტაცია აკრძალეს, საორგანიზაციო კომიტეტმა მოწოდებები გააკრა ქუჩებში და ყველა მორწმუნე კათოლიკებს მოუწოდა მუდამ მზად იყავით და აგიტაცია გასწიეთ ხვალ პაპთან დეპეშა კავგზავნოთ და ერთგულება შევფიცოთო.

**სოფია.** მინისტრები გაემგზავრენ ტაონოვოპლაჩკოვიცას შუა რკინის გზის ამოძრავებაზე დასასწრებლად.

მაკედონიის სხვა და სხვა კულტურულ საზოგადოების წარმომადგენლებმა, თათბირის დროს დაადგინეს გადასდონ მიტინგი ოსმალეთის ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც უნდა მომხდარიყო კვირას, რათა უფრო მეტი და უტყუარი საბუთები შეჰკრიბონ ოსმალეთი ბოლგარეთის მდგომარეობაზე. არჩეულ იქნა ორი კომისია: პირველს კომისიას დაევალა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, შეიმუშაოს ისეთი ზომები, რომლის შემწეობით შეიძლება ბოლო მოეღოს მაკედონელთა ასეთ აუტანელ მდგომარეობას და აგრეთვე რაზმების მოქმედების შეჩერება. მეორე კომისიას კი მიენდო, დაწვრილებით ასწეროს, თუ როგორ აწიოკეს ბოლგარელები და შეადგინონ აგრეთვე ამის შესახებ ვრცელი მოხსენება, რომელიც უნდა წარუდგინოს ბოლგარიის მთავრობას და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. უსკუბელმა ბოლგარელმა სოფიის სადგურზე დასჭრა ოსმალელი იბრაგიმ-ზადერა, რომელსაც სწამებდა ჯაშუშობას მთავრობის წინაშე და აგრეთვე მამისა და ძმის სიკვდილს მაკედონიაში. კრი-

ლობა საშიში არ გამოდგა, ბოლგარელი შეიპყრეს, ეგრეთვე ამ დროს შეცდომით დაიჭრა ბოლგარელი კონდუქტორი.

**პეკინი.** მდინარე სუნგარზე გემების მიმოსვლის შესახებ მოხდა შეთანხმება ჩინეთის მთავრობასთან. რუსეთის მთავრობის ინტერესები სრულებით დაცულ იქმნა. საბოლოოდ პარობების რედაქციის შემუშავებას სამს დღეს მოუნდებიან.

**სოფია.** ოსმალო, რომელსაც გუშინ სადგურზე დაეცენ, გამოდგა უსკუბელი პოლიციის კომისარი. მას ჰქონდა რევოლვერი და უფასო მიმოსვლის ბილეთი სერბიის რკინის გზებზე. დაჭრილის მდგომარეობა საშიშო არ არის.

**ბუხარესტი.** მეფის და მემკვიდრის თანდასწრებით 16 სექტემბერს რუსეთის საზღვრების მახლობლათ მოხდა ალლუმი რუმინიის ჯარის მესამე და მეოთხე კორპუსისა.

**ბილბაო.** კათოლიკებმა, რომელთაც განზრახვა ჰქონდათ გაემართათ მთავრობისგან აკრძალული მანიფესტაცია, მინისტრ კანალეხსს პროტესტი გამოუცხადეს და აგრეთვე დაემუქრენ ბრძოლისათვის შემდეგში უფრო სასტიკ ზომებს მივმართავთო.

**პარიზი.** პერლაშეს სასაფლაოზე მუშები დათხოვნილი იქნენ და მათ მაგივრათ მოიჯარადრეთა ლოკაუტმა ჯარის-კაცები მიიწვია.

ლიონსა, ვეზულსა და რეიმსში გაიმართა რკინის გზის მოსამსახურეთა მიტინგი. სურვილი გამოსთქვეს მოხდეს რკინის გზის მოსამსახურეთა საყოველთაო გაფიცვა.

### ჰაერში ფრენა.

**ლახტა.** დილის 10 საათზედ გამოჩნდა დირიჟაბლი „გედი“. მთელი სოფელი კარზედ გამოვიდა და უცქეროდა. საკმაოდ ძლიერი ქარის მიუხედავად ლამაზად დასცურავდა ცის სივრცეში. 10 საათსა და 30 წუთზედ პეტერბურგისკენ წავიდა.

**ძველი პეტერგოფი.** პეტერგოფზედ დილის 9 საათსა და 20 წუთზედ გაიარა დირიჟაბლმა „გედმა“ და კრონშტადისაკენ წავიდა.

**გათჩინა.** ავიატორმა ლებედევმა ძლიერი ქარის დროს გაფრენის გამო მიიღო საიმპერატორო ჰაეროკლუბის ორი ჯილდო.

**ბერლინი.** გუშინ 8 ს. და 55 წ. ქ. გოტიდან აფრინდა სამხედრო დირიჟაბლი „მ. მე—3“, 9 ს. 45 წამზე გამოჩნდა ერფურტში; 12 ს. 40 წ.-ზე. ბიტტერფელდში; დილის 3 ს. 30 წ.-ზე. ბერლინში ხოლო დილის 6 ს ზე. მშვიდობიანათ დაეშვა ქ. ტეგელში.

**ბიტტერფელდი.** დირიჟაბლი „პარსევალ მე—6“, ღამის 12 საათზე გაფრინდა მიუნხენისაკენ და ღამის პირველ საათსა და 45 წამზე გამოჩდა ლეიპციგში, სადაც ქალაქის თვითმართველობის შენობიდან თვალ-ყურს ადევნებდნენ მაგისტრატის წევრები და პრესის წარმომადგენელნი. დირიჟაბლი ღამის ორ საათზე გაფრინდა სამხრეთისაკენ.

**ბაირეტი.** დირიჟაბლი „პ. მე—6“. პროპელლერის წახდენის გამო შეჩერდა დომშტეიდში და შემდეგ განაგრძო ფრენა პლაუნგოფზე. მაგრამ ძლიერი ქარის გამო დაეშვა ბაირეტის მახლობლად, დირიჟაბლი ხელ-ახლა აფრინდა, შემდეგ კი საბოლოოდ დაეშვა ბაირეტის სამხედრო მოედანზე.

### რუსეთი

**სმოლენსკი.** მიწათ მომწყობმა კომისიამ მაზრაში გახსნა 8 მიწის იარაღის და მანქანის სადგური, სადაც მათი ქირაობა შეიძლება.

**კიევი.** ბერდიჩევიდან პეტერბურგს მიემგზავრება დეპუტაცია. დეპუტაცია იშუამდგომლებს გაიხსნას გიმნაზია და სახელმწიფო ბანკის განყოფილება.

**კიევი.** კუხარიებში 16 ივლისს ღამე ტყეში ბოროტ-განმზრახველები თავს დაესხნენ მგზავრ ებრაელებს. მოჰკლეს ორი.

**კავკაზი.** კავკავის სამთო კლუბის წევრები დევდორსკაია, დოლგაია და დუხოვსკოი 13 ივლისს, დღის 1 ს. და 35 წ. სამი მგზავრით დევდორაკის საყინულედან გაემგზავრნენ და საღამოს 6 ს. ერმოლაევის ქოხს მიაღწიეს. აქ ამათ გამოიძინეს და დილის 3 ს. და 15 წ. კიდევ განაგრძეს გზა. დღის 2 ს. 15 წ. ყაზბეგის მწვერვალს მიაღწიეს. 1 ს და 22 წ. განმავლობაში მგზავრები ათვალიერებდენ და იღებდნენ ფოტოგრაფიულ სურათებს. ყაზბეგის მწვერვალოზე 3 გრადუსია ცელსით.

**კიშინევი.** ტარუტინში, აკერმანის მაზრა, გაიხსნა პირველი სასოფლო 8 კლასიანი გიმნაზია.

**ვერხნეუდინსკი.** ხუთი ჟანდარმის როტმისტრის, პოლიტიკურების ზედამხედველის, ჟანდარმების და გოროდოვოის ტანისამოსში გადაცმულმა ბოროტგამზრახველებმა სოფ. შიშკინოში გაჩხრიკეს გლეხ ეფიმოვის სახლი, დააპატიმრეს ეფიმოვი გამოართვეს 1000 მან. ფული და შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს.

**პეტერბურგი.** დაატუსაღეს პეტერბურგის ცეიტუნგის“ 17 ივლისის ნომერი. რედაქტორი კიუგელმენი პასუხის გებაში მისცეს.

საინტენდანტოს საწყობიდგან ჯარის კაცების ფარაჯების გაყიდვის საქმის გამო მიუსაჯეს. ტიტულიარნი სოვეტნიკს კროიშეს 3½ წ. პატიმართა განყოფილება და ზოგიერთ უფლებების ჩამორთმევა, კაპიტან მიცეევსკის 2½ წ. ვაჭარ რუბახინს და იმის ნოქარს კორელსინს 1½, კაპიტან ფედოროვს 3 თვით ციხე. ვახტერი ბაიანოვი გაანთავისუფლეს.

**იმანი.** გადაბრუნდა საქონლის მატარებელი. მოკვდა 4 კაცი, დაიმტვრა 14 ვაგონი და დაზიანდა ორთქლმავალი.

**პლოცკი.** მოვიდა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი პოლიციის სამმართველოების სარევიზიოდ.

**მოსკოვი.** საღამოთი დიდი წვიმების გამო წყალმა დაფარა დაბლობი ადგილები.

სერპუხოვოში, ნიკოლაევის ეკლესიიდან ნიკოლოზის საკვირველმოქმედის ხატის 32 ბრილიანტი მოიპარეს.

**პოლტავა.** რომნოს მაზრის დაბა სმელევში გადაიწვა 25 მოსახლეობა.

**სტარაია რუსა.** 8 საათიდგან ქალაქის შუაგული იწვის.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** წუხელ, 11 საათზედ სოფელ ისადის ახლო, მაკარიევის მაზრა, სამგზავრო მატარებელი კაშინისა „დიმიტრი“ დაეჯახა მიწის ამომღებ მანქანას. მოკლულია ორი მგზავრი, ოთხი დაშავდა, რამდენიმე დაილეწა.

**რიგა.** წუხელ, საღამოს 11 საათ. რიგა-ორლოვის რკინის გზას ტუკუმის ტოტის სადგურ ტორენსბერგის ახლო სამგზავრო მატარებელი, სადგურ მურავიოვიდგან რომ მიდიოდა, დაეჯახა სადგურის ახლო მდგარ საქონლის მატარებელს. საქონლის მატარებლის სამი ვაგონი დაიმსხვრა, გაფუჭდა სამი სამგზავრო და ორი საქონლის ვაგონი სამგზავრო მატარებლისა. მიმოსვლა შესწყდა, მაგრამ ჩქარა აღადგინეს.

**ნიკოლაევი.** სახალინის ჩრდილოეთ-დასავლეთით გოლოვაჩერკის კონცხის ახლო დაიწვა იაპონიის გემი, რომელიც თევზით მოვიდა.

**სტარაია რუსსა.** რვა სახლი დაიწვა მთელი თავისი შენობებით.

**ნოვოჩერკასკი.** მინიჩევის ქალაქის საავადმყოფოში სპირტის აფეთქებით დაშავდა მთელი ოჯახი, რომელნიც ექვსი კაცისაგან შესდგებოდა. დედა და ქალი გარდაიცვალა.

### შავი ჭირი.

**ოდესსა.** შავი ჭირით ავად გახდა ორი კაცი.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** სააგენტომ შემდეგი ცნობები მიიღო ხოლერის მსვლელობის შესახებ. პეტერბურგში დღე ღამეში ავად გახდა 83, გარდაიცვალა 23, ავად არის 439. წასულ კვირას-ბაქოში ავად გახდა 86, გარდაიცვალა 33, მორჩა 19, ბერდინსკისაში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 25. ეპიდემიის გაჩენიდან მაზრაში ავად გახდა 86. კავკაში 8 ივლისიდან ავად გახდა 23, გარდაიცვალა 10, თერგის ოლქში ავად გახდა 518, გარდაიცვალა 203, ევპატორიაში 25 ივნისიდან ავად გახდა 8, გარდაიცვალა 4, მაზრაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, ქერჩში ავად გახდა 105, გარდაიცვალა 45. აკკერმანის მაზრაში ავად გახდა 1. კიევში ავად გახდა 84, გარდაიცვალა 23, გუბერნიაში ავად გახდა 189, გარდაიცვალა 161. ნიჟნინოვგოროდში ავად გახდა 64, გარდაიცვალა 11, გუბერნიაში ავად გახდა 64, გარდაიცვალა 28, ადესაში ავად გახდა 106, გარდაიცვალა 47, არლოვის გუბერნიაში ავად გახდა 129, გარდაიცვალა 67, ელცაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3, ლივენში 3, ბალხუში 4, გარდაიცვალა 2, სად. ლივნიში და ბრინსკში ავად გახდა თითო, პენზაში ავად გახდა 13, გარდაიცვალა 1, გუბერნიაში ავად გახდა 52, გარდაიცვალა 17. როსტოვის საგრადონაჩალნიკოში ავად გახდა 137, გარდაიცვალა 36, რიბინსკში ავად გახდა 28. გარდაიცვალა 14, სამარაში და მის გუბერნიაში ავად გახდა 488, გარდაიცვალა 210, სევასტოპოლის საგრადონაჩალნიკოში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 10, სიმბირსკში ავად გახდა 25, გარდაიცვალა 10, გუბერნიაში ავად გახდა 154, გარდაიცვალა 65, სევასტოპოლში (გუბ.) ავად გახდა 28, გარდაიცვალა 12, ტამბოვის გუბერნიაში 8 ივლისს ავად გახდა 212, გარდაიცვალა 54, იაროსლავში ავად გახდა 55, გარდაიცვალა 8, გუბერნიაში ავად გახდა 959, გარდაიცვალა 363, ხერსონში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1, გუბერნიაში ავად გახდა 791, გარდაიცვალა 359, აკკერმანში ხოლერის საწინააღმდეგოთ აცრა დაიწყეს. სანიტარულმა კომისიამ ქები დაკეტა. კიევში სანიტარული კომისია შუამდგომლობს დაიკეტოს კიევის ახლო ორი ბაზარი. ოდესში უცხო გემების სააგენტომ ცირკულიარი გაუგზავნა საერთო შორისო სანიტარულ კომისიას, რომლითაც უკრძალავს ოდესიდან წყლის აღებას და ბარგის მიღებას. თუ აუცილებელი საჭიროება არაა ჯარს ნაპირზე არ უშვებენ. ოდესის სასანიტარო აღმსრულებელ კომისიამ დაადგინა დეზინფექცია გაუკეთის პერესიპის რაიონს, აკრძალოს შინაურ საქონლის გამოშვება, დაკეტოს ოდესა—ბახმაჩის გზა, სანოვაგე საწვრილმანოები, და გამოსცეს დადგენილებანი. პოლტავის საგუბერნიო საექიმო სასანიტარო კომისიამ დაადგინა გახსნას ოთხი ამბულატორია ქოლერიანთათვის.

პეტერბურგში ავად გახდა 81. გარდაიცვალა 18, ავად არის 498. კვირის განმავლობაში ალექსანდროვკაში ავად გახდა ..., გარდაიცვალა 113, ... ეპიდემიის გაჩენიდან ავათ გა... 1036, გარდაიცვალა 471. შიბ...ვის მაზრაში ავად გახდა 51, ...დაიცვალა 23, გოძელში ავად ...და 63, გარდაიცვალა 14, პავე...გრადსკში ავად გახდა 51, გარ...ცვალა 23, ნიკოლაევსკში (სა... 23 სოფელში ავად გახდა 1... გარდაიცვალა 54, ეპიდემიის გა...ნიდან მაზრაში ავად გახდა 1... გარდაიცვალა 89, დაბა ...ოპოში ...ზენკოვის მაზრა, ერთი შემთხ... იყო ხოლერით ავად გახდომ... ყარსში ავად გახდა 11, გარ...ცვალა 6, ერევნის გუბ. გარ...ცვალა 5, ბუზულუკში რამდე... შემთხვევა იყო ყველანი გარ...ცვალნენ, ფერმანში ავად გახდა... გარდაიცვალა 1, რომანოვში ... ბორისოგლებსკში ავად გახდა ... მუშა, 1 გარდაიცვალა.

## ახალი ამბავი

### ტფილის...

✦ **ვ. ნ. ჩერქეზიშვილის გ... დაცვალების გამო.** თავ. ვ. ჩერქეზიშვილის გარდაცვალების ...მო ჩვენ მივიღეთ კიდევ შემ... დეპეშები:

ვუერთდებით საერთო გლო... საზოგადო მოღვაწის ვასილ ნი...ლოზის ძის ჩერქეზიშვილის და...გვის გამო.

ქართველთა შორის წ.-კ. გამავრც...ბელ საზოგადოების **ხაშტრედიის გან...ფილება.**

ღრმად ვწუხვართ ძვირფას სა...გადო მოღვაწის თავ. ვასილი ჩ...ქეზიშვილის უდროვოდ გარდა...ლებას,

**სურამელი ქართველები.**

კეთილ იდეალების გულწრფ... მსახურის, ადამიანურ ღირსებით ... კულ და საზოგადო მოღვაწის ...სილ ნიკოლოზის ძის ჩერქეზიშვი... გარდაცვალების გამო განუსაზღვრ... მწუხარებას მიეცა ჩემი არსება...

სტუდ. **ბესარიონ ტყემალაძე.**

ქარას, თბილისის მოურავის ...სილ ნიკოლოზის ძის ჩერქეზიშვი... დასაფლავების დღეს, ...

# მღუხრულ ჰანგზე

I

### პასუხი

ჩემ ყურთ ჯერ არ სმენოდათ სახელი შენი, მე მაინც ვიცოდი რა გერქვა შენ; მე მაინც გიწოდებდი შენ ჩემის მოუსვენრობით, ჩემის ნატვრით, წყურვილთა და თაყვანებით.

ხმა ჩემის გულისა მარად შენ გეძახდა, შენ დაგეძებდა, შენთვის ჰკვნესოდა.

ის ხმა სინაზით თვით სიყვარულსაკ შეედრებოდა; ის ხმა თვალებზე, ოცნებაზეც კი შორს სწვდებოდა.

იგი ფრთხილადა ჰკითხულობდა შენს ლამაზს სახელს თავისავით მთრთოლვარე ვარსკვლავთა სხივებზე.

იგი მოუსვენრად გეძახდა სანატრელ არსებას თავისავით მღელვარე ზღვის მძლავრ ტალღებში.

სწვდებოდა ყვავილთ შლას, ყურს უგდებდა ვარსკვლავთა სხივთ კრთომას, უერთდებოდა ტყის ჩურჩულს, ნიავის სისინს, იდუმალ გრძნობათა გამოძახილს შენ სახელს იძახდა, შენ დაგეძებდა, შენა გნატრობდა...

ის ხმა ვით ნატვრა ბავშვისა, ვით კვნესა გულისა, ვით ხმა ჩანგისა გარს ეხვეოდა, თავს ევლებოდა, გულშიც სწვდებოდა მოულოდნელის მიზეზებით უცნაურად თვალწინ დახატულ სილამაზეს, მშვენიერობას, იქაც უნდოდა—რომ გაეგო შენი სახელი, შენ გკითხულობდა.

ხმა ჩემის გულისა ყველგან გეძახდა, ყველგან გეძახდა, ყველგან გეძებდა, მარად გნატრობდა...

### პასუხი

— მე შენ არ გიცნობ.

თვალთა ჩემთა ჯერ არ ეხილათ შენი სახე, აწ რომ მაგონებს მთვარეს ბადრისა სანთლით ჩამოქნილს, მაინც გიცნობდი; მაინც ვიცოდი ჩემ გულის ნატვრა...

ფხიზლადაც, სიზმრადაც მე შენ გეძებდი, შენა გსახავდი...

ვით მეთვალყურე — ვუცქერდი მთა-ველთ მშვენებას; ვით შეყვარებული—ვერ ვშორდებოდი ყვავილებს, ვარდებს; როგორც მლოცველი მივსჩერებოდი მთვარე ვარსკვლავებს, ყველგან ვეძებდი მე შენ სახეს, ყველგან ვხედავდი: ფერმკრთალი იყო, მოწყენილი და წმინდანს ჰგავდა; მის თაყვანება, მასზედ ლოცვა მენატრებოდა.

მხოლოდ შენი ნატვრა, შენი წყურვილი ჰმატებდა ძალას თვალთა ჩემთა შეს მოტრფიალეთ:

მივსჩერებოდი ქვეყნის წარსულში ღრმად ჩამარხულ ლამაზ ღამეებს, გაზაფხულეებს ტურფა ყვავილებს—აწ დამჭკნარებს, ფერად ფერად გცეულებს, ნათელ ვარსკვლავების—ან მოწყვეტილთ, სიბნელედ ქცეული; თვალ წინა ვშლიდი მთელი ქვეყნის ფართო მომავალს, ყველა ღამეს როცა მთვარე გამოჩნდებოდა სულ ყოველ დღეს, როცა კი მზე ამოვიდოდა ყველა ყვავილებს ყველა ვარდებს—რაც კი სიტურფიი გადაიშლებოდა, რომ დამენახა შენი სახე, შენი შვენება....

ყველგან ყოველთვის შენ გეძებდი, შენა გსახავდი..

### პასუხი.

— სიდან მოსულხარ?

ბავშვობისას შენ გიწოდები ვით ერთგულ მშობელს, ყრმამ კი გარდაგქმენ უკვდავ ღმერთად სიყვარულისა. ყოველი ჩემი დღე, ყოველი ჩექი ღამე შენ გიწოდებდენ, შენს ნახვას ელოდა.

შენმა ნატვრამ, შენზედ წუხილმა შემაჩვია მუდმივ ოცნებას.

შემოდგომის ბნელ ღამეში, ცივს, ქარიან ღამეში ყოველთვის მოგიწოდებდი ამ ოცნებით მოსავალს ბურუსიდან.

ეს ოცნება ღმერთთა სიმღერიდან, მათ ტკბილ სიზმრებიდან ცაში ჰქმნიდა შენს ლამაზ სურათს და ისე ჩამოჰყავდა ქვეყნად ჩემსა ღვთაებად.

ეს ოცნება ეთერის სფერაში, სამყაროს უხილავ ქვეყნებში თავის სიმღერით, თავის წუხილით მოგიწოდებდა. იქ შეყვარებულთა გრძნობით ჰქმნიდა შენს არსებას, მგოსნის ჰანგებით ჩაჰბერდა უკვდავების სულს, წმინდანთა შარავანდედით უქსოვდა სამოსელს შენს სილამაზეს და ანგელოზთა გალობით, ეთეროვანთა ქება-დიდებით ქვეყნად მომყავდი ჩემს ღვთაებად, სადაც გული ჩემი მარად მზათ იყო შენ სათაყვანოდ.

ყური დაუგდე ლაქუცა ნიავის წყნარ სისინს, ქვეყნის შემძრწუნებელ ქარიშხალის ზუზუნს, ზღვის ჩურჩულს, ღელვას, სიცოცხლის კვნესას, სიკვდილის მღერას, ყველგან, ყველგან გაიგებ შენს ლამაზ სახელს...

ეგ ძახილი, ეგ ხმა—ჩემ გულის ხმა არის, შენ რომ გიწოდებს...

მინდვრებშიც, ტყეშიც, მთებშიც, მიწაზეც, ცაზეც და ცის მნათობშიაც შენ სურათს ჰნახავ, როცა შეჰხედავ...

ეს სურათი ჩემის ნატვრით არის ნახატი.

ყველა ყვავილის ყველა ფურცელზე შენი სურათი დამიხატია; ყველა მგოსნის ყოველ სიტყვაში შენი სახელი ჩამიწერგია.

### პასუხი.

რა დაგმართნია?

ძახილი შენის სახელისა, სურათი შენის სახისა შეერთებულს ცის ელვაქუხილში, ზღვასა და მის ღელვაში, მთებში და მათ სიმღერაში.

მაგრამ არიან ჰანგნი ტკბილნი და ძლიერნი, რომელნიც ჯერ არ სმენია ქვეყანას, ვერც გაიგონებს ვეროდეს.

არის სილამაზე მხიბლავი, თავბრუს დამხევი, რომელიც ჯერ არ უხილავს ქვეყნიერობას და ვერც იხილავს ვეროდეს.

იმ ხმით, იმ სილამაზით სტკბებიან სულნი უკვდავნი, ცაში მფრინავნი, ქვეყანას მოშორებულნი.

მწუხარების სხივებით განათებული გული ადამიანისა მარად ესწრაფვის ამ უსმენ ჰანგებს, უხილავ სილამაზეს ვით ქვეყნის მიზანს, ვით ახალ სიცოცხლეს, მაგრამ იგინი სამარადისოდ მაინც მიუწდომელნი არიან, სანატრელნი, საოცნებონი...

შენშიც არიან ნაწყვეტნი იმ შორეულ ჰიმნისა, რომლითაც სტკბებიან სულნი ციურნი;

შენშიაც დაჰქრის შენის მკრთალი სხივი იმ სილამაზისა, რომლის ჰვრეტითაც იშვებენ მხოლოდ ანგელოზნი.

გლოვა ჩემის სულისა შენ მოგიწოდებს

მწუხარება გულისა შენ გეძლოდება.

ჩემის მარტოობით, შენზედ ოცნებით ბევრი ლოცვა შემითხზავს, შიგ ჩამირთვია კვნესა სულისა, წყურვილი მიუწდომელის სილამაზისა, უმწიკვლო სიყვარულია ჩემის გულისა. მომეცი ნება ჩემო ღვთაებავ მიწიერო, ცით მოვლენილო შემოგვედრო ჩემი გული ამ წრფელ ლოცვებით...

უკანასკნელი სიტყვა ჩემი, შორეული აზრი, უმაღლესი გრძნობა სიყვარულისა შენ მოგინატრებს...

დღე და ღამენი ჩემის ცხოვრებისა, უკანასკნელი ამოსუნთქვა ჩემის სიცოცხლისა შენ მოგიწოდებს...

შენ მოგიწოდებს...

### პასუხი.

— გადარეულხარ!

II

### გლოვა.

როგორ გამოიცვალე!.. როგორ როგორ გამოიცვალე!..

ალვის ხე იყავ მაღალი, ლამაზი; ცის შეუმჩნეველი ნიავიც კაშრიალებდა, ჩაგჩურჩულებდა; ყოველ გაზაფხულზე იფოთლებოდი და მწვანდებოდი. ეხლა... სვეტი ხარ მარმარილოსი უძრავი, ცივი და შეუცვლელი...

შენ იყავ ყვავილი, ცოცხალი ყვავილი! ყოველ გაზაფხულზე ამოდიოდი, ყოველ დილაზე იშლებოდი, იფურჩქნებოდი. ღამით ნადენი ქალწულებრივი ცრემლები ჰნამავდნენ შენ ფურცლებს; დილის ნიავი წყნარის სისინით თვალს აგიხელდა, ნამს ჩამოგბანდა; შენც ჰყვავდებოდი, სურნელად იქცეოდი, სჭკნებოდი და შემდეგ ისევ აღზდგებოდი, გაიშლებოდი, ეხლა კი... მხოლოდ სურათი ხარ ამ ყვავილისა ლამაზის ხელით დახატული ტილოს ნაჭერზე...

შენ იყავ ღვთაება, ჩემ გულში, შობილი ღვთაება სიყვარულისა.

შენს უკვდავებას უკმევდა გულდრუკს ჩემი ოცნება; ხელებ-გაპყრობით შემოვხაროდი შენს უკვდავ ზრახვათ.

მადლი ღვთიური შენის ხელითა სცვიოდა ჩემ გულში ციურ მანანად, რომელიც შემდეგ გარდიქმნებოდა შეერთებულ სიმღერად ცისა და ქვეყნისა, ცრემლებ ნარევ კვნესად გულის ნატვრათა და ოცნებათა; ღამის ლოცვად, სიცოცხლის ბნელ ღამეთა ლოცვად, რომელსაც ბაგენი ჩემნი მხოლოდ შენ გასმენდენ, ციურო ჩემო!

შენ მაღვიძებდი ყოველ დილით შენის კეთილის განზრახვებით, ...თირი იმედით; შენ მიხუჭავდი თ...ლებს ღამით, ნანად მასმენდი ც... ოცნებით.

ყოველ აზრს ჩემსას მიაცილე... თავის ბოლომდის, ყოველ განზ...ხვას ჩემსას ფრთებად ესხმოდი, ცივეს ჩემის გულისას ცეცხლ... ეგზნებოდი, ეხლა კი... ცოცხა... ღვთაების ნაცვლად ქანდაკება ... მარმარილოსი, ლამაზი, ძლიე... მაგრამ უძრავი, უსულო, ცივი... შენი ღვთიური უკვდავება მკვ... მარმარილოს უკვდავებად გადაქ...ულა; ცაში ოცნებით შექმნილი მიწიერ ფრსად გადაიქეცი; შენ ძეგლი ხარ ღვთაებისა, მხოლ... ძეგლი ხარ...

შენ იყავ ცოცხალი, ეხლა კი...

ჩემი გული იყო შენს ქვეყნ... შენს ცად, ეხლა კი იგი გადაქ...ულა სამარედ შენის ღვთაებრი...ბის.

ოჰ, რათ მოკვდი ეგრე ად... ღვთაებავ ჩემო!

მე შენსკენ მოვფრენდი, რათ... მიყინე გაშლილნი ფრთანი!

შენს მოსაძღვნელად გამზადე... ლი ჩემი ღიმილი ბაგეთ ჩააკვდა.

შენსგან საღვრელად მომდგ... ცრემლი თვალებს შეაშრა.

ხელები შენსკენ გამოპყრობილ... ცივად გაშეშდენ; ყვავილიც გასქ... ცივ თათებში, შენ რომ გიძღვნი...

ოჰ, რათა კვდება, ვინც უკვ...ვად დაგისახია!

ოჰ, რომ აღზდგებოდეს ი... მკვდრეთით, როგორც იესო!...

— ვინც გულში კვდება, ... შემდეგ აღარ აღზდგება, მხოლ... ლამაზსა, ძვირფას ხსოვნად ... ინახება...

მეც შევინახავ გულში ხსოვნ... ჩემს მკვდარ ღვთაებას...

კრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვის გათავების შემდეგ მამა გორგაძემ მოკლედ აუხსნა მრევლს მნიშვნელობა განსვენებულისა და მერე შეუდგა პანაშვიდის გადახდას. დარჩნენ არა მარტო ქართველები, არამედ თითქმის ყველა ეკლესიაში მყოფი რუსებიც. პანაშვიდის გათავებისას ეპისკოპოზმა ქუთაისისამ ყოვლად—სამღვდელო გიორგიმ ჯვარით აკურთხა დამწრენი და ამთხვია მას.

სამგლოვიარო დეპეშები გამოგზავნეს კიდევ: სიღნაღის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. მ. ანდრონიკოვმა, სპარსეთის ელჩმა, თელავის მამასახლისმა თათუზოვმა, შუშის ქალაქის თავმა ქალანთაროვმა, სამტრედიის განყოფილებამ ქ. მ. წ.-კ. გ. ზ. ხონის საზოგადოების მამასახლისმა სიმონიძემ, სიღნაღის მამასახლისმა ენიკოლოფოვმა, სოხუმის ქალაქის თავმა სოლოგუბმა, არგუთინსკიმ, ექიმმა დავით გედევანიშვილმა, „ჯეჯილის" რედაქტორმა ანასტასია წერეთელმა, კნეინა ალ. მელიქიშვილმა. გრიგოლ დიასამიძემ და სხვ.

პანაშვიდები განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადაიხადეს ბაკურიანში, აბასთუმანში და სხვ. ხალხი ყველგან ბლომად დაესწრო.

✦ **თავდასხმა**. კვირას, 18 ივლისს ღამის 10 საათზედ სამი შეიარაღებული კაცი თავს დაესხმია სადგურ გრაკალის და სადგურის უფროსის თანაშემწისთვის კასის გასაღები მოუთხოვია. უფროსის თანაშემწეს გასაღები არა ჰქონია და ბოროტ-გამზრახველებს აზარმაცითა სდომებიათ კასის გამტვრევა, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ ზეოდ. ეწყო თურმე 13 მანეთამდე ფული, რომელიც წაუღიათ. ფოსტის განყოფილებაში ყოფილა 250 მან. მაგრამ ვერ უპოვიათ. იქვე ახლო უხურგუნაშვილსა აქვს დუქანი და ავაზაკები ახლა იმას მისცვივნიან და მოუთხოვნიათ ფული. უხურგუნაშვილს წინააღმდეგობა გაუწევია, რის გამოც ის სამგან დაუჭრიათ მარჯვენა მხარსა, შუბლსა და ხელებში. ჭრილობები საშიში არ არის თურმე. უხურგუნაშვილისათვის წაურთმევიათ 300 მანეთი და წას-ულან. დილით მივიდა გორის მაზრის უფროსი დარაჯებით და გამოძიებას შეუდგა. როგორც ამბობენ თავდამსხმელნი ორი ქართველი ყოფილა და ერთი ოსი.

✦ **ცეცხლი**. 18 ივლისს ღამის 3 საათზე ორბელიანის ქუჩაზე რაღაც ჯერ გამოურკვეველი მიზეზების გამო გენერლის ქვრივის ე. მ. ჯუზინკაფის სახლის № 3, მეორე სართულში ცეცხლი გაჩნდა და რამდენიმე წუთში მოედვა მთელ სახლს საიდანაც გადავიდა სხვა მახლობელ სახლებზე სულ დაიწვა 5 სახლი: მ. ე. განინისა № 4, ს. ი. ფირალოვისა № 38; გ. ივანოვისა № 34. შ. გ. საათოვისა № 32. რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა ცეცხლის მქრობელთა რაზი და პოლიცმეისტრის თანაშემწეობის აღმასრულებელის კაპ. ტროევის და მისს თანაშემწის გ. დ. ანდრონიკის ხელმძღვანელობით შეუდგა ცეცხლის ქრობას, ცეცხლი მეორე დღის სალამოსაც ეკიდა. პოლიციამ ქუჩები შეჰკრა, არავის უშვებდა. ცეცხლის მქრობელი რაზმი მუყაითად მუშაობდა. რომ ცოტა დასცლოდა, ქართველთა ამხანაგობის სტამბას მოედებოდა. მოხოვრებლებმა ფაცა ფუცით გადმოჰყარეს ძირს ბარგი. მთელი ღამე და მეორე დღეს ცის ქვეშ გაატარეს უბინოდ. ამბობენ დიდძალი ბარგი დაიკარგაო. არა სინიდისიერი ხალხს ვითომ გულ კეთილობის საბაბით შველა აღუთქვამთ ხალხისათვის და ამავე დროს ხელისათვის მოუყოლებიათ, რაც ფასიანი ყოფილა და ხელმოსაკიდებელი. ზარალი 100.000 მანეთს უდრის.

✦ **ქართული საეკკლესიო გალობა**. დღეს, საღამოს 7½ საათზე ძველ სემინარიის შენობაში მოხდება საქართველოს ეგზარხოსის მიერ ნებადართული კრება ქართულ საეკკლესიო გალობის შესახებ. იმედია ქართულ გალობის მოტრფიალენი და მოყვარულნი ხელს შეუწყობენ მღვდელ ვასილ კარბელაშვილს, რომლის თაოსნობით ხდება ეს კრება და ეცდებიან ეკკლესიებში ქართული გალობის საქმის მოგვარებას.

✦ **ფულის გასაგზავნი ყალბი ბლანკების აღმოჩენა**. ჩოხატაურის (ოზურგეთის მაზრა) საფოსტო განყოფილებაში აღმოუჩენიათ ფულის გასაგზავნი ბლანკების მკეთებლები, რომლებიც თვით ფოსტის მოხელენი ყოფილან. თურმე ისინი სწერდნენ ტყუილ ბლანკებს, გზავნიდნენ და იღებდნენ ფულსა. რამდენიმე ათი ათასი მანეთის ყალბი ბლანკი გაუკეთებიათ. გაჩხრეკის დროს ასობით დამზადებული ბლანკები იპოვეს. დამნაშავენი დაატუსაღეს.

✦ **სენატორი ვატაცის გამგზავრება**. ამ დღეებში სენატორი ვატაცი რამდენიმე ხნით ბორჯომში მიემგზავრება.

✦ **პანაშვიდი**. დღეს 20 ივლისს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში შუადღის 12 საათზე გადახდილ იქმნება პანაშვიდი 10 წლის გარდაცვალების თავზედ ნიჭიერ მწერლის და პუბლიცისტის ილია ხონელის სულის მოსახსენებლად.

✦ **ყალბი მარკების აღმოჩენა**. ბორჯომში რკინის გზაზედ მომუშავეთა ზედამხედველი კ—ძეს უპოვეს ყალბი მარკები. კ—ძე თავის მხრივ აბრალებს თავისს თანამოსამსახურეთ ა—ძესა და ა—ცის, რომელიც დამნაშავე ჯერ არ იციან.

✦ **ხოლერა**. 17 ივლისს ხოლერით ავად გახდა და ხოლერიანთა ბარაკში გაგზავნეს 1) ს. ქეთევის მცხოვრები ქალი გ. ა. გურგენიძე. 2) სოფ. წყნეთის მცხოვრები ნ. კაკალიშვილი 55 წლისა 3) სპარსეთის ქვეშევრდომი გ. კასუმოღლი 26 წლ. (მუშაა). 4) ოსმალეთის ქვეშევრდომი ო. პომო-ოღლი 40 წლ. (მუშაა) 5) ა. ვ. პოლელოვისა 50 წლ. 8) შორაპნის მაზრის მცხოვრები ფ. ს. ლომიძე 21 წლ. 7) მ. ა. სტროლცოვისა 21 წლ. 8) გერმანელი მასწავლებელი ქალი გ. კ. ადოვანდე 21 წლ. 9) ქუთაისის მაზრის მცხოვრები დ. მ. სალაწელიძე 17 წლ (მუშაა) ყველა ავათმყოფებთა ბინებს დეზინფექცია გაუკეთეს;

18 ივლისს ხოლერით ავად გახდა, 1) ს. ზ. რიჟა 42 წლ. 2) ე. მ. ოქროპირიძე. ავად მყოფთა ბინებს დეზინფექცია უყვეს.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა**. 16 ივლისს, ნაშუადღევის სამ საათზე პეტრე სინიცინმა თავის მოკვლა განიზრახა და შევიდა ყოჩაშვილის დუქანში, ჯერ ღვინო დალია და როდესაც მოეკიდა დუქნის უკანა შევიდა ფეხისადგილში და რევოლვერი დაიტყვა მარცხენა გვერდში. რევოლვერის ხმაზე მიცვივდნენ იქვე მყოფნი, გამოიყვანეს და გაგზავნეს საავათმყოფოში სადაც ჭრილობა შეუხვიეს და იქვე დააწვინეს. სანიცინი მსუბუქად არის დაჭრილი.

✦ **მკვდრის გვამის პოვნა** — 17 ივლისს საღამოს 7 საათზე მამადავითს მთაზე ფუნიკულერის სადგურის იქით ხრამში იპოვეს ჩვრებში შეხვეული მოკლული კაცის გვამი, მკვდარს თავი გატეხილი აქვს. როგორც ეტყობა ბოროტ-გამზრახველებს ჯერ მოუკლავთ და მერე ჩვრებში გახვეული ხრამში გადაუგდიათ, მკვდარი მიხეილის საავათმყოფოში წაიღეს.

✦ **დეპუტატი გეგეჭკორი სენატორ ვატაცთან**. გუშინ 19 ივლისს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი გეგეჭკორი მივიდა სენატორ ვატაცთან. დეპუტატ გეგეჭკორს უნდოდა ნებართვა აეღო, რომ იმ სოფლებში, სადაც თავ. გ. ამილახვარი მძვინვარებდა, საქმის გამოსარკვევად ხალხის შეკრების ნებართვა აეღო. როგორც გადმოგვცეს დეპ. გეგეჭკორს სენატორი ვატაცი ვერ უნახავს.

✦ **ქართული გიმნაზიის შესახებ**. როგორც მკითხველებმა იციან, სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება არ დართო ქართულ გიმნაზიაში მეოთხე კლასამდე ქალ ვაჟის ერთად სწავლო. ამ დღეებში ქართული გიმნაზიის ინსპექტორი. ა. მდივანი წარუდგა სენატორს ვატაცის და საქმის გარემოება მოახსენა. სენატორი ვატაციმ თავისი პრინციპიალური თანხმობა გამოუცხადა ამ საქმის შესახებ და დახმარება და საქმის სასურველად გადაწყვეტა აღუთქვა.

✦ **ხოლერა ნორიოში**. როგორც სოფელ ნორიოდან (ტფილისის მაზრა) გვატყობინებენ იქ 12 შემთხვევა იყო ხოლერით ავადმყოფობისა. სოფელში არის მხოლოდ ერთი ფერშალი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ვისიც ჯერია და სოფლებს ექიმი მიაშველოს.

✦ **ხოლერა**. სასანიტარო კომისიის ცნობით 17 ივლისის დილის 9 საათიდან 18 ივლისის დილის ცხრა საათამდე ქალაქში ხოლერით ავად გახდა 5 კაცი, 18 ივლისს ცხრა საათიდან 19 ივლისს ცხრა საათამდე ავად გახდა 1 კაცი—ამ დღემდე საავადმყოფოში ირიცხებოდა 57 ავადმყოფი, მიემატა ორი, გამოეწერა ხუთი, ეხლა ირაცხება 54.

✦ **ფურგონიდგან გადმოვარდნა**. 18 ივლისს დილის ათ საათზე სოფ. შილდას მცხოვრები (თელავის მაზრა) ზაქარია ბურდიაშვილი მთვრალი ავიდა ლიმონადის დასატარებელ ფურგონის თავზე და ზედ დაძინება მოინდომა, მაგრამ უცაბედათ გადმოვარდა მძიმედ დაშავდა. დაშავებული საავადმყოფოში წაიყვანეს. იგი გზაზედ გარდაიცვალა.

✦ **გადასახლებულის შეპყრობა**. 17 ივლისს პოლიციამ შეიპყრო სოფ. ტფ. მაზრის ვაშლოვანის მცხოვრები დავით ნიაზოვი, რომელიც ადმინისტრატიულად გადასახლებული იყო ტფილისის გუბერნიიდან და თავის ნებით დაბრუნებულა.

✦ **სამართალში**. საგუბერნიო მმართველობის განკარგულებით სამართალში იქნა მიცემული ტფილისის პოლიციაში მოსამსახურე ლობოდა, რომელსაც სამსახურის დროს, ალექსი და ბაგრატ ამირჯანოვების გალახვა ბრალდება.

✦ 17 ივლისს პოლიციამ ჩხრეკის დროს დააპატიმრა: მეხუთე საპოლიციო უბანში—7, მეშვიდეში—12 და მერვეში ცხრა მათხოვარი, სულ 27 კაცი. ამავე დღეს მეშვიდე უბანშია დააპატიმრეს 26 კაცი და მერვეში 12 კაცი რომლებსაც პასპორტები არ აღმოაჩნდათ.

✦ სადგურ კარაკლისში კანტორის დერეფანთან მე-13 უბნის მოსამსახურე „პოდრიადჩიკმა დიმიტრი ბზეკაძემ სამჯერ რევოლვერი ესროლა იქ მყოფ მუშებს, რომლებიც თავის სამუშაო ქირას თხოულობდნენ. ტყვიით დაჭრა მარცხენა ფეხში მუშა ტომასა თგანეზოვი.

✦ 18 ივლისს სიძველის გამორუდოვის ქუჩაზე ჩამოინგრა მარიამ ჩიხოვას სახლის სახურავი. არავინ არ დაშავებულა.

✦ 17 ივლისს განჯის სადგურზე ვიღაც ბოროტ მოქმედებს მსუბუქათ დაუჭრიათ ხელში იქ მყოფი გზის დარაჯები ქალი კასიჩი და ვაჟი აგანოვი. კასიჩი ქალი გაუპატიურებიათ,

✦ 18 ივლისს ჩხრეკის დროს დააპატიმრეს მეთხე უბანში 4 კაცი. იმავე დღეს მეცხრე უბანში დააპატიმრეს 8 უპასპორტო 5 უბანში 11 მეოთხეში 4 მეცხრეში 7 და მეთორმეტეში 4 კაცი.

## ილ. ბახტაძის ხსოვნას

ილ. ხონელს (ბახტაძეს) ჩვენი საზოგადოება იცნობს უფრო როგორც პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწეს. ამას გარდა ილ. ბახტაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი სოფლის და გლეხის ეკონომიური ცხოვრების შესწავლის და შეგნების წინაშე. ილ. ბახტაძის ნაწერები ამ კითხვის შესახებ იმდენად შინაარსიანი არიან, იმდენად ღრმად არიან გამოკვლეული ეკონომიური კითხვები, რომ დიდ ხანს არ დაჰკარგავენ თავის ფასს და მნიშვნელობას. ვინც ჩვენი სოფლის და გლეხის ცხოვრების შესწავლას მოიწადინებს, იგი ვერ ასცილდება ი. ბ-ძის ნაწერებს. მართალია ნაწერები გამოქვეყნებულნი არიან ამ 25 წლის წინად, მაგრამ მას შემდეგ უფრო შინაარსიანი და ახალი მასალით შეკაზმული ნაწერები აღარ გამოსულა. მაშასადამე ილ. ბ-ძეს დიდი ღვაწლი და მუშაობა მიუძღვის ჩვენი ქვეყნის გონებრივი განვითარების და ჩვენი ეროვნული შეგნების წინაშე,

მე-80 წლებში დანიშნული იყო სახელმწიფო კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა აეწერა სახელმწიფო გლეხების ეკონომიური მდგომარეობა კავკასიაში. კომისიის დანიშვნა გამოწვეული იყო თვით ცხოვრების მოთხოვნილებით, ვინაიდგან საგლეხო რეფორმა ჩვენში არ შეეხო თითქმის სახელმწიფო გლეხებს. ვინაიდგან სახელმწიფო გლეხები თან და თან გროვდებოდა ჩვენში რუსეთის მფლობელობის დამკვიდრების შემდეგ, რა თქმა უნდა მთავრობა დაინტერესებული იყო გაეგო თუ რას წარმოადგენდა სახელმწიფო გლეხები და მათი ცხოვრება. კომისიის ზედამხედველად იყო ტ. ს. ტიხეევი. აქ არ შეუდგებით კომისიის მუშაობასაღწერას აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ კომისიის შრომები იქმნენ გამოქვეყნებულნი შემდეგის სათაურით, პირველად Матеріалъ для изученія экономическаго быта государственныхъ крестьянъ Закавказскаго края, ტფილისი 1885—1887 წ., ტ. I—VII, შემდეგ „Сводъ матеріаловъ по изученію экономическаго быта государственныхъ крестьянъ Закавказскаго края, Тифлисъ, 1887—1888 წ. ტ. I—V. დასახელებული გამოცემა შეიცავს უძვირფასეს მასალას, კომისია შეეხო არა მარტო სახელმწიფო გლეხების ეკონომიურ მდგომარეობას, არამედ საერთო კითხვებსაც, ამ გამოცემაში ილ. ბ-ძეს ეკუთვნის რამდენიმე წერილები: 1) „Экономическіи бытъ госуд. крестьянъ Рачинскаго у., Кут. губ. (Матеріалъ, ტ. II, ნაწილი I), 2) Экономическіи бытъ госуд. кр. Шорапанскаго у., Кут. губ. (იხ. მე-V ტ., ნაწილი 2). 3) „Податное обложеніе крестьянъ Закавк. края. Мірскія повинности (Сводъ матеріаловъ ტ. I, ნაწ. 3), 4) Коивники Закавказ. края (იხ. Сводъ, ტ. III, ნაწ. II).

ილ. ბ—ძე არ დაკმაყოფილდა სახელმწიფო გლეხების ეკონომიური მდგომარეობის დახასიათებით, არამედ შეეხო საერთოდ საქართველოს გლეხების ცხოვრებას, განიხილა კანონმდებლობა რუსეთის მთავრობისა მათ შესახებ, აგრეთვე ცვლილებანი გლეხების უფლებაში და მათ ცხოვრებაში რუსეთის მთავრობის ზედ-გავლენის შემწეობით დაშემდეგ შეეხო სახელმწიფო გლეხებს. ამ ნაირად ი. ბ—ძის ნაწერები ასურათებენ საერთო ჩვენი გლეხობის მდგომარეობას და ვინაობას. ამ 25 წლ. წინეთ. ილ. ბ—ძემ დაამტკიცა, რომ ქუთაისის გუბერნიაში შორაპნისა და რაჭის მაზრაში სათემო მიწის მფლობელობა თითქმის სრულებით გამქრალა და ადგილი დაუთმია კერძო კუთვნილებისათვის და თუ აქა-იქ მკრთალად შენახულია სათემო მიწის მფლობელობა, იქ სამაგიეროთ გავრცელებულია რწმენა გლეხებს შორის, რომ მიწა უნდა დაიყოს და შეიქნეს კერძო კუთვნილებად. მართალია, სათემო მფლობელობა ირღვევა, მაგრამ საბალახოები ჯერ-ჯერობით სათემო კუთვნილებაა, აღნიშნავს რა მიწის მფლობელობის ფორმებს, ილ. ბ—ძე ახასიათებს საერთოდ გლეხების ჩვეულებებს და უფლებას. გლეხის მამულები გადადის მამის შემდეგ შვილების ხელში, ოღონდ თუ მამა და შვილები მოინდომებენ გაყოფას, მაშინ მამული თანასწორად იყოფა და მამა ისეთ წილს ღებულობს, როგორც შვილები. თუ მამას ვაჟიშვილები არა ყავს, მაშინ მამულის მემკვიდრეებად ითვლებიან ახლო ნათესავები და არა ქალიშვილები. მხოლოდ ქვრივი დედაკაცი სარგებლობს მამულით სანამდის ხელმეორედ არ გათხოვდება. თუ ოჯახში არის უცოლო ვაჟიშვილი, იმას მამულის გაყოფის დროს ეძლევა ცოტა მეტი დანარჩენებზედ, ეს მეტი ნაწილი იმისთვის ეძლევა, რომ შესძლოს ხარჯი ცოლის შერთვას რომ დააპირებს. ამას გარდა ი. ბ—ძე მოგვითხრობს რა მდგომარეობაში არის მიწის იჯარით აღება, რა მიზეზებით არის იგი გამოწვეული და რამდენათ აკმაყოფილებს გლეხს იჯარით აღებული მიწა. გლეხის მამულს ადევს ათასნაირი სახელმწიფო და საერობო გადასახადები, დაახასიათებს რა ამ გადასახადების სხვა და სხვა ფორმებს, გამოიკვლევს კითხვას, თუ რამდენად შესაძლებელია გლეხისათვის მათი გადახდა. გამოდის, რომ გლეხის მამული ვერ აუდის მათ გადახდას და გლეხი იძულებული არის მიმართოს იჯარას მიწისას და სხვა საშუალებას. საერო გადასახადების განაწილებას თვის გლეხების საზოგადოებანი კისრულობენ და ი. ბ—ძე ვრცლათ ახასიათებს გლეხების ჩვეულებებს და წარმოდგენას გადასახადების შესახებ. თანდათან ი. ბ—ძე შეეხება გლეხების ზნე-ჩვეულებას, მათ გონებრივ განვითარებას და წარმოდგენას, ეს ნაწილი შრომისა შეიცავს დიდ ეტნოგრაფიულ მასალას. ვერ ჩამოვთვლით ყველა იმ კითხვებს და მუხლებს გლეხების ეკონომიური ცხოვრებისას, რომელსაც ეხება ი. ბ—ძის გამოკვლევანი. დასახელებული კითხვებიც საკმარისია იმისათვის, რომ დაახლოვებით წარმოვიდგინოთ ილ. ბ—ძის შრომების შინაარსი.

25 წელმა განვლო მას შემდეგ რაც ილ. ბ-ძის შრომები გამოქვყნდა. ბევრი ცვლილება მოხდა ჩვენ ცხოვრებაში და უფრო მეტი ჩვენ სოფლის და გლეხისა. თუ მაშინ ჩვენი გლეხი და სოფელი დიდ გაჭირვებაში იყვნენ, დღეს, 25 წლ. შემდეგ ჩვენი სოფლის ცხოვრება სასოწარკვეთილებას განიცდის, უნუგეშობის სამზღვარს დიდი ხანია გადასცილდა. თუ დღეს ჩვენი საზოგადოება, გატაცებული თავისი პირ-ვარამით მოიგონებს ერთ საუკეთესო თავის წევრთაგანს, მაშინ მან უნდა ეცადოს დაუდგას მას შესაფერისი ძეგლი. ჩვენ რომ მოვიცდიდეთ და შევისწავლიდეთ, გამოვიკვლევდეთ ჩვენი სოფლის და ჩვენი გლეხის დღევანდელ მდგომარეობას და შეუდარებდეთ წარსულს, რათა ვიხილოთ მომხდარი ცვლილებანი ცხოვრებაში, მაშინ დაუდგებთ ილ. ბ-ძეს ხსოვნას შესაფერს ძეგლს, მაშინ გამოჩნდებოდა რამდენათ ვცემთ პატივს სამშობლოს საუკეთესო შვილებს, მანამდის კი სიტყვით არაფერი არ იქნება. სიტყვასა და საქმეს შორის ძლიერ დიდი მანძილია.

**ხიმ. ბებლიანი.**

## ვასილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილის დასაფლავება

როგორც მოსალოდნელი იყო, განსვენებულ ვასილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილის დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო. ჯერ ისევ დილით, გოლოვინის პროსპექტისა, კიროჩნის ქუჩასა და თვით მიცვალებულის ბინასთან დიდ-ძალი ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დამდგარიყო და ელოდა, როდის გამოივლიდა პროცესია. მიუხედავად იმისა რომ დიდძალი ხალხი სოფლად და საზღვარგარეთ წასული, მაინც სამგლოვიარო პროცესსია მრავალ-რიცხოვანი იყო. სწორედ დილის 9 საათი იყო, როდესაც მიცვალებულის გვამი სახლიდან გამოასვენეს ქალაქის, გამგეობის წევრებმა. პროცესია გამართა ელისაბედის ქუჩიდან ქსენიისა, მიხეილისა, კიროჩნისა და გოლოვინის პროსპექტით. გვერდებზე ამქრის წარმომადგენელთ მიჰქონდათ ამქრის ბაირაღები. პირველად მიჰქონდათ ხავერდის ბალიშზე დადებული მოურავის ძეწკვი, შემდეგ ვერცხლისა და სხვა გვირგვინები. გვირგვინებს მისდევდა ქართული ხორო, ქულაჯებში გამოწყობილი და ეგზარხოსის ხორო, შემდეგ ორკესტრი, რომელიც სამგლოვიარო მარშს უკრავდი. იყო გვირგვინები ვერცხლის, ცოცხალ ყვავილებისა და ლითონისა. კუბო სახლიდან სიონის ტაძრამდე და შემდეგ დიდუბის ეკკლესიამდე ხელით მიჰქონდათ ქალაქის მოსამსახურეთ და პატივისმცემელთ.

ქალაქის თვითმართველობის შენობის წინ, ერევნის მოედანზე პროცესია შეჩერდა, მიცვალებული დაასვენეს და მცირე პანაშვიდი გადუხადეს. პროცესია გზა და გზა თან და თან იზრდებოდა. შესახვევებში ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დამდგარიყო და პროცესია რომ გაივლიდა ჯგუფები უერთდებოდა. სიონის ტაძართანაც დიდძალი ხალხი შეგროვილიყო. სიონში მწირველი იყო ბაქოს ეპისკოპოსი გრიგოლი და თანამწირველნი არქიმანდრიტები: ანტონი, დოსითეოსი, პიროსი, სიონის ტაძრის კრებული და ქალაქის სამღვდელოება. იყო აგრეთვე სომხის ეპისკოპოსი, მღვდლები, მონოზნები და მაჰმადიანთა სასულიერო პირნი. წირვა და წესის აგება დიდხანს გაგრძელდა. წირვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმა ჩეკურაშვილმა, დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა გურამიშვილმა და ეპისკოპოსმა გრიგოლმა. ჩეკურაშვილმა მშვენიერ სიტყვაში აღნიშნა, რომ სიონის ძველი ტაძარი, ეს ქართველი ერის დიდება—უბედურების მოწამე უკანასკნელ ლოცვა-კურთხევით ისტუმრებს ყოვლად სათნო და საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანის ნეშტს. შემდეგ ჩეკურაშვილი შეეხო განსვენებულის ღვაწლს ქალაქის წინაშე და დიდის პატივით მოიხსენა ვ. ნ. ჩერქეზიშვილის სამსახური 1905 წელში, როდესაც ორი მეზობელი ერი ერთი-მეორეს გასდგომოდა და ძმათა სისხლი იღვროდა. ცხოვრებას მოევლინებიან ხოლმე ისეთი ძლიერი და მტკიცე ხასიათის პიროვნებანი, რომელნიც ხალხის ყურადღებას იმსახურებენ, და განსაკუთრებულ სათნოებისა გამო ყველა სიყვარულით შეჰყურებს და ენდობა, სჯერა მისი ყველაფერიო.

სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე გურამიშვილმა. მან აღნიშნა მოკლედ ვ. ნ. ჩერქეზიშვილის სამსახური საზოგადოებრივ ასპარეზზე. მოაგონა, რომ ჯერ ისევ 80 და 90 წლებში უხდებოდა განსვენებულს მოღვაწეობა და მაშინ კი არ ახსოვს თუ როგორ უარყოფით ეპყრობოდა ყველა საზოგადოებრივ ინიციატივას და სამსახურს. თავად-აზნაურთა სახელით მწუხარება გამოაცხადა სასარგებლო ადამიანის დაკარგვის გამო. ეპისკოპოსმა გრიგოლმაც დაახასიათა განსვენებული. მან არ იცოდა არც ქართველი, არც რუსი, არც სომეხი და არც თათარი. ყველას ერთნაირად განურჩევლად ეროვნებისა ემსახურებოდაო. გრიგოლმა სიამოვნებით აღნიშნა რა მცხოვრებთა მიერ ესოდენი პატივისცემა განსვენებულისადმი, გვირგვინების მირთმევა, სთქვა, სამწუხაროა, რომ ამდენ გვირგვინებში არც ერთი ხატი არაა, არც ჯვარცმა, არც ღვთის მშობლის ხატიო.

პროცესია ისევ სიონის ქუჩით გაემართა პუშკინის ქუჩისაკენ, ლორის-მელიქოვის ქუჩით—ბარიატინსკის ქუჩისაკენ ნიკოლოზის ხიდით და მიხეილის პროსპექტით. გაიარეს მუშტაიდის ვიწრო ქუჩა და შემდეგ მიასვენეს დიდუბის ეკლესიის გალავანში. გზა და გზა კვლავ დიდძალი ხალხი ეგებებოდა.

მთელი რთხი საათის განმავლობაში ტრამვაი შეჩერებული იყო, ეტლების მიმოსვლაც შემცირებუ-

ლი. სასმელ-საჭმელის დუქნებიც დაკეტილი. სახურავები და სახლების ფანჯრები სავსე იყო მაყურებლებით. მიცვალებულის დანახვაზე ყველა ქუდს იხდიდა ნიშნად პატივისცემისა განსვენებულისადმი.

დიდუბის გალავანშიც დიდძალი ხალხი შეგროვილიყო. მცირე პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულს გამოეთხოვენ შვილები, ნათესავები და მეგობარ ამხანაგი და პატივისმცემელნი. საშინელი სანახავი იყვნენ შვილები—დიდხანს ემბორებოდენ თავიანთ მამის უკვე გაცივებულ გვამს. რაც კუბო ახლად გათხრილ საფლავში ჩაასვენეს, სანამ მიწას მიაყრიდნენ სიტყვები წარმოსთქვეს ტფილისის გუბერნატორმა ლოზინოლოზინსკიმ, ქალაქის თავის მოადგილე ხატისოვმა, ვაჭართა-მაჰლახლისმა, ი. მერკვილაძემ, მალაკანთა წარმომადგენელმა და სხვ.

გუბერნატორის სიტყვა მოკლე იყო და შინაარსიანი. მან სთქვა, განსვენებული ყველასათვის პატივსაცემი პიროვნება იყო. მიაღწია იმ წერტილამდის, იმდენად დაიმსახურა ხალხის ყურადღება, რომ ასეთს დიდს თანამდებობაზე იქნა არჩეული და სავსებით გაამართლა კიდეც იმედებიო. ის ყოველმხრივ შეწონილი ადამიანი იყო და დიდს ზნეობრივ ძალას წარმოადგენდაო. როგორც შეშვენის საუკეთესო მოქალაქეს ღირსეულად გადაიტანა 1905 წლის დღეებიო.

მშვენიერი იყო, მგრძნობიერი და გაბედული ა. ი. ხატისოვის სიტყვა. გარდა იმისა, რომ მშვენივრად დაახასიათა განსვენებული, ხატისოვმა მიმართა ხალხს: „ტფილისის მოქალაქენო, შეჰფიცეთ მიცვალებულს სანამ ჯერ მიწა არ მიჰყრია, რომ თქვენ არ უღალატებთ იმ საქმეს, რომელსაც განსვენებული ემსახურებოდა — ქალაქის თვით-მართველობის გადემოკრატების საქმესო. *) ხატისოვს ბოლოს გული შეუჩერდა და წყლით მოაბრუნეს. სხვა ორატორების სიტყვებიც ახასიათებდა განსვენებულს. საღამოს 4 ნახ. საათზე მიცვალებული მიწას მიაბარეს და ყველა გულწრფელად დანაღვლიანებული—რომ სამუდამოდ გამოეთხოვენ კეთილ ადამიანს, თავდადებულს პატრიოტ მუშაკს—გამობრუნდა უკან.

განსვენებულის კუბოს ამკობდა დიდძალი გვირგვინები, რიცხვით 70 მეტი. ქალაქებისა, განმანათლებელ საზოგადოებათაგან, ვაჭართაგან, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან, ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგავ, რუსულ გაზეთ „კავკაზი" და „ზაკავკაზიე" და „კურიერ კავკაზისაგან", სომხურ გაზეთებისაგან, ქალაქის მუშათაგან, ტრამვაის მუშებისაგან და სხვა და სხვა.

სხვათა შორის სიონში წირვასა და პანაშვიდს დაესწრო ნამესტნიკის თანაშემწე ვიტაცი, გენ. შატილოვი, გუბერნატორი ლოზინოლოზინსკი, გაზეთების წარმომადგენელნი და მრავალი სხვანი.

*) ხატისოვის სიტყვას ხვალ მოვათავსებთ. რედ.

# პატარა ფელეტონი

## კულტურული მუშაობის ახალი იარაღი

მე მინდა აქ ვილაპარაკო სინემატოგრაფზედ, რომელიც ბევრს მხოლოდ გართობის უბრალო საშუალება ჰგონია, სადაც „პარიზული ჟანრის" ან ვულგარულ-კომიკურ სურათებს აჩვენებენ. მართალიაც ეხლა სინემატოგრაფის მოქმედების ამ გვარი მხარე ისე ჰფარავს სხვა ყველას, რომ მისი მნიშვნელობა, როგორც წმინდა მეცნიერულ ხასიათის ფაქტორისა უმეტესი ნაწილისთვის შეუმჩნეველია.

უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმ პერსპექტივებს, რომელიც მოელის სინემატოგრაფს, როგორც გულანიზმისა, ცოდნისა პოპულიარიზაციისა, სახალხო განათლების იარაღის, როგორც აღმზრდელის საშუალებას.

ამერიკაში უკვე დიდი ხანია შეიგნეს, რა დიდი დამხმარეა სინემატოგრაფი სკოლებისთვის გეოგრაფიისა და ეტნოგრაფიის შესწავლაში. მართლაც, რა ადვილი უნდა იყოს ბავშვისთვის სწავლა, როდესაც ყველა მას, რასაც მასწავლებელი უხსნის და ეუბნება სხვა და სხვა ქვეყნებისა ან მათი მცხოვრებლების შესახებ. იგი ჰხედავს ამასთანავე ამ „ცოცხალ ფოტოგრაფიაში".

ხალხი, მასსაა აბსტრაქტიულ საფუძველსა და შვიდნიშნიან რიცხვების მტკიცებას ვერ ითვისებს ადვილად, ის მისთვის რაღაც წარმოუდგენელი, არა ამქვეყნიურია. მისი აზრი კონკრეტიულია. ხალხი, როგორც პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრების კანონების შესახებ საუკეთესო წარმოდგენას კონკრეტიული გამოცდით, პრაქტიკიდგან იღებს, და არა წიგნებიდგან, სწორედ აგრეთვე თავისს ფართო განვითარებას იგი ჰქმნის კონკრეტიული მატერიალისა და კონკრეტიული სახეებიდგან. ამ მხრივ ეჭვს გარეშეა, რომ ერთი ლექცია ხალხის ცხოვრებიდგან, რომელსაც დაერთვის ერთის მხრით ცოცხალი ფოტოგრაფია, და ხალხური სიმღერები მეორეს მხრით, უფრო ცხად წარმოდგენას მისცემს ამ ხალხზედ, ვინემ ათი ღრმააზროვანი სქელი წიგნები ამავე ხალხის შესახებ.

სინემატოგრაფის კულტურული მისსიით საზღვარ-გარედ უკვესარგებლობენ. ჩვენ შეგვიძლიან ვუჩვენოთ გერმანიაში შემდგარი საზოგადოება, რომელსაც მიზნადა აქვს სოფლის მცხოვრებთა კულტურულად ამაღლება. ამ საზოგადოებასა აქვს სინემატოგრაფები, რომლებსაცა ჰგზავნის ერთი სოფლიდგან მეორეში სინემატოგრაფები აჩვენებენ—მიწის დამუშავებას დანიაში, ცეპელინის ჰაეროპლანს, ფარმანის ჰაეროპლანს, სხვა და სხვა ქვეყნების ხალხთა ცხოვრებას, ქალაქებს, რამე საგნების წარმოებას და სხვ, სინემატოგრაფში შესვლა ღირს ორი კაპიკი როდესაც სოფლიდგან ერთი სინემატოგრაფი მიდის, საზოგადოება მეორესა ჰგზავნის სხვა პროგრამით. სურათების ჩვენებასთან ერთად საზოგადოება ურიგებს ხალხს ამავე საგნების შესახებ ადვილ-გასაგები ენით დაწერილ წიგნაკებს. ამ გვარად ახალი ცნობების შეტანი პროპაგანდა სოფლებში ხდება თვალ-ხედვითი, საგნობრივი ხასიათით. სინემატოგრაფის სურათებით სოფელი ეცნობა სხვა და სხვა მსოფლიო მოვლენებს, სხვა ხალხების ცხოვრებას, საჭირო ნაწარმოებითა დამუშავებას, ახალ სამეურნეო მანქანებს და სხვ. გლეხი დიდი ხალისით მიდის სინემატოგრაფში, რადგანაც ის იქ იძენს საჭირო ცნობებს ცხოვრების შესახებ, სინემატოგრაფივე ართობს მას და მისს ფანტაზიას საზრდოს აძლევს. „სინემატოგრაფი სოფლისთვის იმდენად დიდი კულტურული იარაღია, როგორზედაც არც კი ოცნებობდნენ აქამდის," ამბობს გ. გოტვალდი.

ეს მით უფრო, რომ ეხლა სინემატოგრაფის საუკეთესო გაუმჯობესებული აპპარატი ღირს მხოლოდ ოცი ან ოცდა ხუთი თუმანი. მისი სურათებიც სულ უფრო და უფრო იაფდებიან. თან შეიძლება ყოველგვარი სურათის ქირაობა. სიმარტივე და სიიაფე სინემატოგრაფისა მას გაავრცელებს ყველგან და შეჰქმნის ხალხში ახალ კულტურულ შინაარსის შემტანად, და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც სინემატოგრაფი გამოჰგლეჯს სოფლის გონების დამჩლუნგებელ პირობებიდგან გლეხკაცსა და მისცემს მას ცოცხალს საზრდოს.

**გ. ნამორაძე.**

# მოწერილი ამბები

**კახეთი** ამ დღეებში სოფელ კონდოლში მოხდა სოფლის საზოგადოების ყრილობა. ამ ყრილობაზე სხვათა შორის დასარაკი ჰქონდათ სოფ. ქობულაშვილის მამულების გამოსყიდვაზე. ბ. ს. ქობულაშვილმა წელს რამდენჯერმე მიმართა ჩვენ სოფელს რომ მისი მამული, რომელიც მდებარეობს სოფლის ბოლოზე ზომით დასხლოვებით 800 დესეტინა, შეისყიდონ. ამ ყრილობას დაესწრო მცირე ხალხი, რის გამოც დამსწრენი ვერაფერს ვერ დაადგენენ. მხოლოდ ეს კი აშკარად სჩანს, რომ სოფელი მოწადინებული იყო არამც და არამც ხელიდან არ გაუშვან ეს მამული. როგორც გავიგეთ, ამ მამულს რუსებიც ეპოტინებიან. კონკურენცია, როგორც ვხედავთ, საშიშია. თუ სოფელმა სოფლის ბოლოზე მდებარე მამული ხელიდან გაუშვა—მეტად შეფიწროვდება. საწყალი სოფელი მოიწადინებს, სურვილი გამოსთქვას მამულის ყიდვაზე და კიდეც შეუდგეს საქმეს. მაგრამ მეტად საყურადღებოა, როგორ მოიქცევა მემამულე, რით იხელმძღვანელებს ქობულაშვილი: იმას გამოკიდება თუ რომელი მხარე მისცემს მეტს, იხელმძღვანელებს იმით, რომ ჩვენი—ჩვენებს უნდა ეკუთვნოდესო.

**ი. კახელი.**

---

**ს. უდე,** (ახალციხის მაზრა). ამ სოფელში თითქმის 3000 სული მცხოვრებია. მივიწყებულს უოგლის მხრით. პირველი ივლისიდან აქაც იჩინა თავი ხოლერამ. 1—13 ივლისამდე ავად გახდა 30 სული, მოკვდა 20 სული. ავად არის 3. მოკვდა 7. გარდაცვალებულთა შორის არის იმავე სოფლის მღვდელი სიმონ ჭიდაშვილი, რომელიც თურმე უშიშრად დაიარებოდა და გაჭირვებულთ მღვდელ-მოქმედებას უსრულებდა. ამ მღვდელს ხოლერა შეხვდა 12 ივლისს და გარდაიცვალა 13 ივლისს. შეშინებულმა და უპატრონო ხალხმა მაშინვე მიმართა ივლიტას ღვთის-მშობლის ხატსა, რომელიც ამოასვენა ს. უდეში მღვდელმა პავლე თათუნაშვილმა. ხალხი სოფლის გარედ მიეგება ხატსა და ტირილით შესთხოვა: „დედაო ღვთისავ, შენი მხვედრი ვართ, შენ დაგვიფარე ამ სენისაგანაო". სოფელს ჩვეულებად აქვს, როდესაც უბედურება რამე დაატყდება, ივლიტას ტაძარს მიაშურებს ხოლმე და ღვთის მშობლის ხატის წინაშე ლოცულობს. ეხლაც ხალხი დარწმუნებულია, რომ ხატი დაიფარავს მათ ამ სენისაგან. დღეს მესამე დღეა არავინ მომკვდარა. ადგილობრივმა პოლიციამ შეატყობინა სადაც საჭირო იყო, მაგრამ ჯერ არავინ მოსულა დახმარების აღმოსაჩენად. მხოლოდ ამავე დღეს ადიგენის ექიმმა გამოგზავნა ერთი ფერშალი, რომელიც უვლის ავადმყოფებს.

კარგი იქნება დახმარება აღმოუჩინონ სოფელს და სენთან საბრძოლველად უნდა საჭირო ზომები მიიღონ.

**აბასთუმნელი მოაგარაკე.**

---

**სოფ. ჭილოვანი** (ზემო იმერეთი). ს. ჭილოვანის მდებარეობა მშვენიერია. აღმოსავლეთით მას საზღვრავს სოფლები წისოფელი და პერევისა, ჩრდილოეთით—მდ. ყვირილა, სამხრეთით—პატარა მდინარე დურღუმელა. ჭიათურიდან ჭილოვანი ოთხი-ხუთი ვერსის მანძილზე დაშორებული.

ნიადაგი ჭილოვანისა ქვა-კლდიანია და ურწყავი. აქა იქ თუ მოიძებნება სახნავი ადგილები. რასაკვირველია, რომ ამ გვარმა ადგილებმა მოსავალი ნაკლები იცის. თუ წვიმა თავ-თავის დროზე ნათესს არ მოხვდა, მოსავალი თესლს ვეღარ აძლევს ხოლმე სოფლის ადგილების სიმცირის და მწირი ნიადაგის გამო, სადაც კი ბუნებრივ ტყეები მოიძებნება ამ სოფელში ახოებად იღებენ და სახნავ-სათესს მამულებად აქცევენ. ამიტომაცაა, განუწყვეტლივ რომ 4—5 საათი იწვიმოს, ღელეებს ადარაფერი აჩერებს და ხშირად ნათესსაც და ადგილებსაც წვიმა აფუჭებს და ჩამორეცხს ხოლმე.

დროა გლეხებმა ხე-ტყის გაშენებას შეუწყონ ხელი, არამც თუ რაც არის ორიოდე საძოვრები ტყე—ისაც გაჰკაფონ.

მცხოვრებთა რიცხვი ამ სოფლისა 70 კომლამდეა, ამათში 7—8 კომლი აზნაურებია, დანარჩენი — გლეხები. ცხოვრების უმთავრესს საქმიანობას სიმინდის და პურის მოყვანა შეადგენს, მიწის დამუშავება. რასაკვირველია, როგორც ყველგან საქართველოში, აქაც ისევ ძველებურ წესითა და სამეურნეო იარაღითა ხდება. რამდენადაც მოუსავლიანი ადგილებია, იმდენად გლეხი გამრჯელი, აქაც ასევე ვხედავთ, მაგრამ დახარჯულ შრომის მესამედსაც კი ვერ ინაზღაურებენ და მუდამ შიმშილ-სიღატაკეს განიცდიან. 12 კომლის გარდა, დანარჩენ მცხოვრებთ საჭმო ნახევარ წლამდე არ შეჰყოფნით ხოლმე. ძლიერ დუქნის საშოვნელად ბევრი სოფელ გარედ გადის და ჭიათურის მაღაროებში თვეობით და წლობით მუშაობენ.

კულტურული მხრით ს. ჭილოვანი ძლიერ ჩამორჩენილია. იგონებ აქაურ სოფლის სკოლის 18—19 წლის არსებობას და კიცხავს, ნუ თუ ამ ხნის განმავლობაში ვერავითარი გავლენა ვერ იქონია არსებულმა სკოლამ ყოფილ მოწაფეთა და აქ მყოფ მცხოვრებთა დაწინაურებაზე, მის კულტურულ ზრდა-განვითარებაზე. ისევ სიბნელით, ათასგვარ ცრუ-მორწმუნეობით, შურით, ძალ მომრეობით. დამცირება-უსამართლობებითაა ეს სოფელი მოცული. დღემდე არავის არ უცდია აქაური გლეხების მსოფლ-მხედველობის გაფართოება: არც სერიოზულ წიგნების წაკითხვით, არც წარმოდგენებით, არც ახალ-ახალ ცნობების და ჟურნალ-გაზეთების მოწოდებით და არც სხვა გვარ გონების საზრდოს მოწოდებით. **ქილაკვი.**

## უკრაინული ეროვნული მოძრაობა და ჯაშუში რაკოვსკი

ორი კვირის წინად პოლონურმა პრესამ რუსეთში, ავსტრიაში და გერმანიაში ერთი აურ-ზაური ასტეხა რაღაც აღმოჩენილი საიდუმლო „დოკუმენტების" გამო, რითაც მტკიცდებოდა უკრაინის პრესსის და საზოგადო მოღვაწეების მოსყიდვა გერმანიის მთავრობის მიერ. როგორც გალიციაში, ისე რუსეთშიაც ბანი მისცა ამ ხმებს რუსოფილთა პრესსამაც, რომლის არსებობის მიზანი გალიციაში არის: უკრაინელთა ეროვნულ მოძრაობის გაბათილება, სხვა და სხვა ერების ერთმანეთზე გადაკიდება და მრავალი სხვა ამგვარი. უკრაინული ეროვნული მოძრაობის დამცირება და მისი რომელიმე სახელმწიფოს „ინტრიგათ" გამოცხადება თითქმის პოლიტიკურ აქსიომათ გადაიქცა. ერთ დროს ეს მოძრაობა, ველიკორსთა შოვინისტების აზრით, ავსტრიისა და პოლონეთის „ინტრიგა" იყო. გალიციის პატრიოტთა ბანაკი კი უკრაინულ ეროვნულ მოძრაობას გალიციის საზღვრებში ველიკორსთა „ინტრიგათ" აცხადებდა. რა თქმა უნდა, უკრაინული ეროვნული მოძრაობის ასეთი დასაბუთება ადვილი და ხელსაყრელი იყო მოწინააღმდეგეთათვის და ისინიც ასე იქცეოდნენ. ვფიქრობდით, რომ ამ უნიადაგო და უსამართლო ცილისწამებას ბოლო მოეღებოდა, მაგრამ უკრაინული ეროვნული მოძრაობის მტრებმა ახალი ორიგინალური „ინტრიგა" შესთხზეს და გერმანიის სამოსელში გაახვიეს. „პრუსიის მარკები", „ბერლინის დირექტივები". აი რით ხასიათდება უკრაინული ეროვნული მოძრაობა შოვინისტურ პოლონურ პრესსაში. ვინ გაავრცელა პირველად ეს უსაფუძვლო ხმა, ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ეს ხმები თან და თან ვრცელდება და მთლად მოედო მთელ ქვეყანას.

ფაქტიური მხარე ამ საქმისა ასეთია: „გერმანიის პოლიციიდან დათხოვნილმა ჯაშუშმა რაკოვსკიმ (ეროვნებით პოლონელმა), ვითომ აღმოაჩინა მთელი რიგი ორგანიზაციებისა, რომელიც გერმანიის მთავრობასა ჰქონია გალიციაში, და ასე წარმოიდგინეთ, კიევშიაც უკრაინელთა შორის. ჯაშუშმა იშოვნა შესაფერი ყალბი დოკუმენტები და წარუდგინა „Курьер-Варшавскій"-ს რედაქციას, რომელმაც შეუმოწმებლად მეორე დღესვე დაბეჭდა გაზეთში. აქედან სხვა გაზეთებმაც გადაიღეს და თავისი კომენტარიები გაუკეთეს. ამრიგად პოლონურმა შოვინისტურმა პრესამ გამოაცხო უშველებელი ჭორი. იშოვნა საბაბი პოლონელ პატრიოტთა ბანაკმა, და ბუკი და ნაღარა დასცხო.

რაკოვსკის ყალბი საბუთები შემდეგის რიგით მიდის.

1) გერმანიის საკონსულოს ანგარიში ქ. ლვოვში 1909 წ. 26 იანვ.

2) გერმანიის საკონსულოს ანგარიში ქ. ლვოვში 1904 წ. 10 აპრ.

3) გალიციაში სარწმუნო კაცების სია.

4) დახმარება სუბსიდიებით უკრაინელებისა 1906—07 წლებში.

5) რედაქტორ შტრეტგრის ანგარიშები.

6) წერილის პირი გალიციის უკრაინელ-იაროსლავ ფედორჩუკისა, ვითომც იგი პრუსიის აგენტი იყო.

7) პოლიცმეისტერი ცაკერას ანგარიშები.

8) წერილი რაღაც უკრაინო-გერმანულ კომიტეტისა, სადაც ლაპარაკია უკრაინო-გერმანულ კონგრესზე.

9) ანგარიშები სხვა და სხვა ერთდროულ დახმარებისა.

ბოლოს მოყვანილია რეზოლიუცია უკრაინო-გერმანულ კომიტეტისა კონგრესის შესახებ.

ზედ-მეტად მიმაჩნია ყველა საბუთების გარჩევაზე შეჩერება. რამდენიმეს შევეხები მხოლოდ და ვეცდები დავამტკიცო ის სიყალბე, რომელმაც საბაბი მისცა პოლონურ შოვინისტურ პრესსას და ააყაყანა. პირველ საბუთში საკონსულო სჩივის, რადგან გერმანიის შუამავლებმა ძლიერ სუსტად იციან უკრაინული ენა, ამიტომ გასაჭირი ხდება უკრაინის მეთაურების და ჩვენი შუამავლებს ერთ-ურთი გაგებაო. ვინც გალიციაში საშუალო სასწავლებელს ათავებს ყველა თავისუფლად ლაპარაკობს გერმანულ ენაზე, მით უმეტეს უკრაინის საზოგადო მოღვაწენი, რომელთაც ავსტრიის პარლამენტში სიტყვის თქმა გერმანულ ენაზე უხდებათ; მაშასადამე საჭირო არ არის გერმანიის შუამავლებმა უკრაინული ენა იცოდნენ. ეს გარემოება ყველას კარგად მოეხსენება, ვინც რამდენიმედ მაინც გაცნობილია გალიციასთან. არ იცის, ეს რაკოვსკიმ, რომელმაც ასე უსირცხვილოთ შესთხზა ამგვარი ტყუილი. მეორე დოკუმენტში არის ნათქვამი, რომ საკონსულო იმ შემთხვევაში დასთანხმდება რედაქტორ შტრედერის გალიციაში გაგზავნაზე, თუ მან საკმაოთ იცის უკრაინული ენა და შესძლებს უკრაინელ-საზოგადო მოღვაწეებთან მოლაპარაკების გამართვასს; მესამე დოკუმენტში ჩვენ ვნახულობთ იმისთანა გვარებს, რომელთაც არავითარი სულიერი კავშირი არა აქვთ უკრაინელ ეროვნულ მოძრაობასთან; ნახსენებია ამ დოკუმენტში სანინა ბაროვსკაია, რომლის თავზე ორჯა დიდმა სასამართლოს პროცესმა გადიარა და რომელიც კრაკოვში თავის ვექილის მკვლელათ და ჯაშუშათ არის ცნობილი. სუბსიდიები და დახმარება აქვს მიცემული შემდეგ დაწესებულებიდან „Товаристо Шевченка" „Украіна" და „Студенські Товариства", უკანასკნელი ორი დაწესებულება, სრულიად არ არის უკრაინულ საზოგადოებათა შორის, პირველი კი ცოტათი წაავავს „Ноуково-Товариство Ім. шевченко"-ს სახელს სუბსიდიები მიიღო აგრეთვე „Січові Союз"-მაო, არც ეს დაწესებულება აქვსთ უკრაინელებს, არის საზოგადოება „Січ". ნათქვამია, რომ გაზეთ „Парада"-მაც მიიღო სუბსიდიები უკრაინული გაზეთი „Парада" არ არის, არამედ არის, „Рада". მხოლოდ გაზეთ „Діло"-ს სახელია მოყვანილი სრულით, რომელმაც 2600 მარკა მიიღო სუბსიდიათ. გაზეთ „Діло"-ს დღევანდელი და ყოფილი რედაქტორები აცხადებენ, რომ პასუხის გებაში მისცემენ იმ რედაქციებს, რომელთაც ეს საზიზღარი ხმები გაავრცელესო. მოყვანილიდან ცხადია, თუ რაგვარ ყალბ საბუთებთან ქონდა საქმე პოლონურ პრესას, როდესაც იგი უკრაინულ ეროვნულ მოძრაობაზე, შეუფერებელ ხმას ავრცელებდა. ვფიქრობთ, რომ პოლონურმა პრესამ კარგად იცოდა ამ დოკუმენტების სიყალბე, მაგრამ მაინც ალაპარაკდა, რომ ქვეყნის თვალში ოდნავ მაინც დაემცირებინა უკრაინული ეროვნული მოძრაობა. როგორც გაზ. „Курьеръ - Познанскій" გვატყობინებს, ჯაშუში რაკოვსკი უარზეა, „Курьеръ - Варшавскій"-ს რედაქციაში დოკუმენტები არაფერი მიმიტანიაო. თუ ეს ცნობა მართალია, რისათვისაც კი ცხადი იქნება პოლონურ პრესის პოზიცია. გაზ. „Діло"-მ ამ ამბების შესახებ ბურცევისგან დაახლოვებით შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო: ჯერ კიდევ 1909 წ. მოვიდა ჩემთან ჯაშუში რაკოვსკი თავის დოკუმენტებით. შევკრიბე რა უტყუარი ცნობები ამ საქმის შესახებ რუსეთში, გერმანიაში და ავსტრიაში აღმოჩნდა ამ დოკუმენტების სიყალბე, თვით რაკოვსკი ავანტიურისტი და შანტაჟისტია. ერთი ფრიად ნიჭიერი უკრაინელი პუბლიცისტი გაზ. „Рада"-ს № 132 ასე ათავებს თავის მოწინავე წერილს: „უხერხული და შეუძლო ხდება ცხოვრება, ჩემო მკითხველო, როდესაც გარემო ატმოსფერა მოწამლულია, არ ძალგიძს თავისუფლად ამოისუნთქო, ქვეყნად ჯაშუშები გამეფებულან და ჩვენს ცხოვრებას განაგებენ, უეჭველია, ჩვენი მომავალი თაობა განცვიფრებით იკითხავს: როგორ სცხოვრობდენ იმ დროს ჩვენი წინაპრები, როდესაც ყველგან ძალმომრეობას, სისაძაგლეს თავის ტახტი დაუდგამსო".— და მართლაც გრუშევსკის და სხვა საზოგადო მოღვაწეების გერმანიის აგენტებათ გამოცხადება, სწორეთ რომ ნაღველის მომგვრელია.

**კ. ჩხეიძე.**

# განცხადებანი


**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—148

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვა:** 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1... ქიმოპა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**საღამოთი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი:** 6—6½ ე. საშვ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საშვილოს, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.


## მატარებლების მიმოსვლა

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისას 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ: | N 1, სწრ.—საღ. | 11 ს. | 28 |
| | N 3, საფ-ს.—დღ. | 1 ს. | 24 |
| | N 5, სამგზ.—საღ. | 7 ს. | 31 |
| ბაქოსკენ: | N 2, სწრაფ.—დილ. | 8 ს. | 15 |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. | 4 |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. | 38 |
| ბორჯომისკენ: | სამგზ.—დილ. | 8 ს. | 28 |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. | 36 |
| ჯულფისკენ: | საფოსტო—ღამ. | 12 ს. | 22 |
| ერევნისკენ: | სამგზავრო—დღ. | 4 ს. | 15 |

**ტფილისში მოდის**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან: | N 2, სწრ.—დილ. | 7 ს. | 25 |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. | |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. | |
| ბაქოდან: | N 1, სწრფ —საღამ. | 10 ს. | 3 |
| | N 3, საფოს.—დღ. | 12 ს. | 2 |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. | 5 |
| ბორჯომიდან: | სამგზ.—დილ. | 6 ს. | 2 |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. | 0 |
| ჯულფიდან: | საფოსტ.—დილ. | 6 ს. | |
| ერევნიდან: | სამგზავ.—დღის. | 6 ს. | 3 |


ვ. ყიფიანის დრამა

**სამეგრელოს მთავარი ლევა**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევ...
**ფასი ორი აბაზი**
იყიდება „დროების" რედაქციაში და ... კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზ...




მოითხოვეთ

**სწორე და მკვიდრი საათები**

ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს.
საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს.
რიზის ახალი რამ.

ცრას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გ...
შეიძინოთ შჯავის უზმო საათები სამი სახურავით ...
ხ ი ა», რომლებიც ხილამაზით და სიმკვიდრით ...
საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ...
აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამ...
შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარ...
აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგახადებლ...
ათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარ...
ხებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალ...
ხიკარგის ნიშნით". ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც განიზ...
საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით ...
და გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ.
ვნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

ПАРИЖЪ 7 PARIS — S. Strumfeld, Rue Mirbel 2 bis.

უფასოდ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ მეწკვს ბრელოკით და ბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა და... 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად და... კონვერტზე ან ღია ბარათზე. (52—6


სტამბა „ხომალდი" რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა.